პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 16 იანვარი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 11 (699) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## იმპერიალიზმი უკან იხევს.

ამ ბოლო ხანებში რეაქციის შეტევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საგრძნობლად შენელდა. უფრო სწორად, რომ ვსთქვათ, ერთგვარ გარდატეხის გზას დაადგა. ამის მაგალითებია: ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის იუზის გადადგომა და ჩემბერლენსა და რაკოვსკის შორის გამართული საუბარი. ამას მოწმებს აგრეთვე თვით ამხ. რაკოვსკიც, რომელმაც განაცხადა მოსკოვში ჩამოსვლისას, რომ „ამ ჟამად ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის კარგი განწყობილებაო“.

რაშია საქმე? რამ აიძულა ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმი შეეცვალა ფრონტი?

ამის ახსნა არც ისე ძნელია. თუ ჩვენ დაუკვირდებით ბატონ ჩემბერლენის ყველა ხრიკებს, რომელსაც ის აწყობდა დღიდან თავის თანამდებობაზე დანიშვნისა, ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენთვის ნათელი გახდება ეს ცვლილებაც.

ინგლისის იმპერიალიზმი დაეპატრონა რა კვლავ სახელმწიფო მმართველობის საჭეს, მაშინვე დაიწყო ენერგიული შეტევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მან მოისურვა ანტიბოლშევიკური მთლიანი ფრონტის შექმნა დიდსა თუ პატარა „ანტანტათა“ წევრებისაგან.

ამ მიზნით ის გაემგზავრა პარიზში, მოინახულა მუსოლინი და ბალკანეთშიც სათანადო დირექტივები გაგზავნა. ერთი სიტყვით ჩემბერლენი შეუდგა ყველა ანტისაბჭოთა ძალების მობილიზაციას. მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე შეიქმნა.

წინააღმდეგობანი თვით იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის იმდენათ დიდი გამოდგა, რომ არც ბოლშევიკურ საფრთხემ არ გააერთიანა ისინი და არ დაავიწყებია თავიანთი ინტერესები. თუ რამდენათ შესძლო მთლიანი ფრონტის შექმნა რეაქციამ, ამის საუცხოვო დამამტკიცებელია ბულგარეთის მთავრობის თავმჯდომარეს ცანკოვის ცდის დამარცხება. ცანკოვმა მოინდომა ბულგარეთის, სამხრეთ-სლავიისა და რუმინეთის გაერთიანება ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ვერ შესძლო.

გარდა ამისა ინგლისის იმპერიალიზმი შეეცადა ოსმალეთსა და ჩვენ შორის შურის ჩამოგდებას, ვერც ამას მიაღწია.

ამასთანავე მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ მემარცხენობის ზრდა ინგლისის მუშათა მასებში, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან კეთილ მეზობლურ დამოკიდებულების ჩამოგდებას. ამ გარემოებამაც დიდი გავლენა იქონია დღევანდელ მთავრობაზე.

ცხადია ყოველივე ამის შემდეგ ჩემბერლენსა და მის ძმათა უნდა შეეცვალათ ფრონტი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩემბერლენის ხრიკების მიზანი იყო არა ომი ჩვენს წინააღმდეგ, (ის ამას ვერ გაბედავს), არამედ ჩვენი დაშინება. ინგლისის იმპერიალიზმს სურდა, რომ დათმობაზე წავსულიყავით.

მაგრამ ყველა ეს ცდები მარცხით დამთავრდა.

ამერიკის ბურჟუაზიამ შეიგნო ჩვენთან მჭიდრო ეკონომიური კავშირის დამყარების დიდი მნიშვნელობა და ემზადება ცნობისათვის. ჩემბერლენიც იძულებული შეიქმნა ღიმილის სახე მიიღოს და თავი გაანებოს უნაყოფო შეტევას.

ჩვენ კიდევ ერთხელ უკუ ვაგდეთ რეაქციის შემოტევა. ეს შევსძელით ჩვენი სიძლიერით და სიმტკიცით.

## სამოქალაქო ომი კვლავ დაიწყო ჩინეთში.

მოუსვენარი ქვეყანაო—ჩინეთზე ითქმის.

მუდმივი სამოქალაქო ომი, პარტიათა ქიშპობა, აწიოკება, ამოხრება არ სცილდება მრავალ ტანჯულ ჩინეთის ხალხს.

და ყველა ამ უბედურების მიზეზი უპირველეს ყოვლისა არის უცხოეთის იმპერიალიზმი. ჩინეთი თავისი ვებერთელა ტერიტორიით, დაულეველი ბუნებრივი სიმდიდრეებით და აუარება იაფი მუშა-ხელით დიდათ იზიდავს იმპერიალიზმის ხარბ თვალებს. ყველას სურს გახდეს მისი ბატონ-პატრონი და ხელთ ჩაიგდოს ეს მდიდარი მხარე. მას ეპოტინება იაპონია, ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა.

თითეულ ამ იმპერიალისტურ ქვეყნებს ყავთ თავისი ერთგული მონები შიგნით ჩინეთში. ესენი არიან ჩინეთის ფეოდალური წოდების ნაფლეთები, სხვა და სხვა ჯურის ღენერლები, რომლებიც ემსახურებიან ამა თუ იმ იმპერიალიზმს და ებრძვიან ერთმანეთს. მათ ბრძოლას არ უჩანს დასასრული. დღეს გაიმარჯვებს ერთი, ხვალ მეორე მიდის მის წინააღმდეგ და ასე დაუსრულებლივ. ამას წინად გამარჯვება ხვდა იაპონიის იმპერიალიზმის მოსარჩლეს ჩჟან-ზოლინს, რომელმაც დაამარცხა ინგლისს-ამერიკის მომხრე ღენერალი უ-პეი-ფუ. როგორც იქმნა რამოდენიმე ხნით შეწყდა იარაღის ჟღარუნი. ჩჟან-ზო-ლინიმ შეაყენა მთავრობა და გამართა მოლაპარაკება ჩინეთის რევოლიუციონერ სუნ-იატ-სენთან სრულიად ჩინეთის ეროვნული კრების მოწვევის შესახებ. უნდა აღინიშნოს რომ ამ საკითხში დიდი განხეთქილება იყო სუნ-იატ-სენსა და ჩჟან-ზო-ლინის შორის. პირველს სურს ისეთი ყრილობა მოიწვიოს, სადაც იქნებიან ჩინეთის ხალხის ინტერესების და დამოუკიდებლობის ნამდვილი მომხრენი, ხოლო მეორეს სურს თავი შეუყაროს ისეთ ავანტიურისტებს, როგორც თვითონ არის, რომლებიც ადვილად ჩააგდებენ ჩინეთს იაპონიის იმპერიალიზმის კლანჭებში. უნდა ითქვას რომ ეს დავა ბოლო ხანებში გადიხარა უფრო სუნ-იატ-სენის მხარეზე და მართლადაც მოსალოდნელი იყო ამ ყრილობის მოწვევა, რომელიც დაამყარებდა მშვიდობიანობას ჩინეთში.

მაგრამ დროებით დამარცხებულმა უპეიფუმ კვლავ წამოყო თავი. ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის ენერგიული დახმარებით (რომელიც მას აწვდის ოქროს, იარაღს და სხვა საჭირო საგნებს) მან შეკრიბა ჯარი, მოიკრიფა საკმაო ძალა და კვლავ დაიწყო ბრძოლა ჩჟან-ზო-ლინის მთავრობის წინააღმდეგ.

ამრიგად მოკლე ხნის მშვიდობიანობა ჩინეთში კვლავ დაირღვა და გაჩაღდა სამოქალაქო ომი.

ცხადია ასეთ მომენტში ყრილობის მოწვევა შეუძლებელია. კვლავ ჩინეთში იღვრება ძმათა სისხლი უცხოეთის კაპიტალის ჯიბის ინტერესებისათვის, კვლავ გაუმაძღარი იმპერიალიზმი სამოქალაქო ომის ალმურში ხვევს ჩინეთის ხალხის კეთილდღეობას. და ეს ასე იქნება მუდამ, სანამ თვით ჩინეთის მრავალ მილიონიანი მშრომელთა მასსა არ აღსდგება იარაღით ხელში და არ გადევნის უცხოელ მფლობელებს და მათ ერთგულ მონებს ჩინეთის საზღვრებიდან.

—ე.

## საფრანგეთის ელჩმა ჩააბარა რწმუნებულების ბარათი კალინინს.

14 იანვარს ჟან ერბეტმა გადასცა ამხ. კალინინს რწმუნებულებითი ბარათი. ბარათის ჩაბარების დროს მან განაცხადა: „მე მოვედი აქ, რითა ვიმუშაო მომავლისთვის. ჩვენი ქვეყნების ნაციონალური ინტერესები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. არაფერი არ გვიშლის ჩვენ ხელს ვიმუშაოდ შეთანხმებით ნაციონალურ დამოკიდებულების პირობების დაწესებაში, სოციალურ გათანასწორების საკითხში, მშვიდობიანობის დამყარებაში და სხვა.“

კალინინმა საპასუხოდ განაცხადა: „საფრანგეთის რესპუბლიკასთან დიპლომატიურ ურთიერთობის დამყარება ერთ-ერთი გულწრფელი ცდა იყო ჩვენთვის. ის გარემოება, რომ ჩვენ შორის წინააღმდეგობას არ აქვს ადგილი, თავდებია ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრულ ურთიერთობის გამტკიცება-განვითარებისა.“

## ნელა, მაგრამ მაინც მიდიან საბჭოთა კავშირის ცნობისაკენ.

მიუხედავად კაპიტალისტურ წრეების აზრისა, რომ იუზის საგარეო პოლიტიკა შეუცვლელი დარჩებაო, პრესა აღნიშნავს, რომ კულიჯის გეგმაში თანდათან შედის საბჭოთა კავშირის თანდათანობით მიახლოება.

რეაქციონერ რესპუბლიკანურ გაზეთი სწერს: „პრეზიდენტის აზრით რუსეთი წინ მიდის და ამ რიგად ის უახლოვდება ცნობას“.

საერთოდ ასეთი განცხადებები გამოწვეულია გაზეთების განმარტებით, რომლებიც წინასწარმეტყველებდენ იუზის პოლიტიკის უარყოფისა და ბორას გავლენის ზრდას.

გაზეთების აზრით ყოველივე ეს ნიშნავს საგარეო პოლიტიკის გადასინჯვის მზადებას, მაგრამ მმართველი წრეები განგებ ამბობენ, რომ იუზის პოლიტიკა უცვლელად რჩებაო.

ამერიკის ბურჟუაზიული გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამ ჟამად სწარმოებს ამერიკის საგარეო პოლიტიკის გადასინჯვა, განსაკუთრებით ს. ს. რ. კ. ცნობის საკითხშიო.

(დეპეშებიდან)



ამერიკელი პოლიტიკოსი—საკითხს ისევ ამ საშუალებით გამოვარკვევ (თითებს ატრიალებს) ვიცნო—არ ვიცნო? ვიცნო...(?)

## მოკავშირეების შეთანხმება ფინანსიურ საკითხებში.

მოკავშირეებს შორის მიღწეულ იქნა პარიზის კონფერენციაზე შეთანხმება ფინანსიურ საკითხებში.

განსაზღვრულ იქნა სხვა და სხვა კომისიების ხარჯები. დოუესის გეგმის განსახორციელებლად სარეპარაციო კომისია და სარეპარაციო მთავარი აგენტი თვალ-ყურს ადევნებენ რათა გადასახადები შეტანილ იქნას წესიერად.

თუ უთანხმოებას ექნება ადგილი, დაინიშნება სამედიატორო სასამართლო სარეპარაციო კომისიის მიერ.

## კონფერენციის საბოლოო სხდომა.

### აქებენ ერთმანეთს.

მოკავშირეთა საფინანსო კონფერენციაზე ინგლისის დელეგატმა ჩერჩილმა განაცხადა, რომ ამერიკის ოფიციალური მონაწილეობა დოუესის გეგმის განხორციელებაში, დიდ ღირსებას აძლევს ამ გეგმას.

ამ გზით ჩვენ მივაღწევთ ჭეშმარიტ მშვიდობიანობას ევროპაში.

შემდეგ ასეთივე კმაყოფილების კილოზე ილაპარაკა ამერიკის მომავალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა კელლოგმა.

დასასრულ ერიომ მთავრობის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და დელეგატებს, რომელთა მუშაობას პრაქტიკული შედეგები მოჰყვა მშვიდობიანობის აღდგენის საქმეშიო.

## ჩერჩილი კმაყოფილია საფინანსო კონფერენციით.

ჩერჩილი დაბრუნდა პარიზში. გაზეთის თანამშრომელთან საუბარში მან განაცხადა, რომ ის მეტად კმაყოფილია მოკავშირეთა საფინანსო კონფერენციის შედეგებით.

## ᲠᲐᲓᲘᲩᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ.

წითელ გლეხთა ინტერნაციონალმა გაუგზავნა ხორვატიაში სასამართლოს მაგიდას შემდეგი დეპეშა:

„ხორვატიის რესპუბლიკანურ გლეხთა პარტიის კანონს გარეშე გამოცხადებისა და მისი ხელმძღვანელების დაპატიმრების გამო, გლეხინტერნის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს სასამართლოს გამომძიებელს გამოუძახოს მოწმედ გლეხინტერნის მდივანს ტომაშ დომბალს, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა რადიჩთან ხორვატიის გლეხთა პარტიის შესვლის შესახებ გლეხინტერნში.

გლეხინტერნის პრეზიდიუმი მზადაა მისცეს გამომძიებელს ყოველგვარი ცნობა და საბუთები, რაც კი შეეხება ამ საქმეს.

## პოლიციის ხრიკები რადიჩის წინააღმდეგ.

სამხრეთ-სლავიის პოლიციამ წარუდგინა პროკურატურას ახალი საბრალმდებლო მასალები რადიჩის წინააღმდეგ.

მასალები შეიცავს 44 გვერდს, რომელიც ვითომდა შედგენილია რადიჩის მიერ.

ამ მასალებში აღნიშნულია გლეხთა პარტიის მოქმედების გეზი თუ სერბიის მეფე მოკლულ იქნება, ან იმ შემთხვევისთვის თუ ხორვატია გამოეყოფა სამხრეთ-სლავიას და სხვა.

პაშიჩსა და რადიჩის პარტიას შორის ბრძოლა გადადის ცენტრალისტურ სერბიისა და ხორვატიის შორის ბრძოლად.

## ᲙᲣᲡ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲗ.

გერმანიის ფინანსთა მინისტრმა ლიუტერმა პრეზიდენტ ებერტზე წარდგენილ მოხსენებაში განაცხადა, რომ ის ითავებს მთავრობის შედგენას როგორც კი იქნება მიღწეული პარტიის გაერთიანება.

# მუშათა მოძრაობა.

## ᲣᲝᲩᲐᲚ ᲑᲘᲭᲔᲑᲝ.

14 იანვარს ღამით გლაზგოს (ინგლისში) მუშათა უბანში ადმინისტრაციამ განაახლა მუშების გამოსახლება კერძო ბინებიდან. გუშაგებმა მუშათა დამცველ რაზმიდან ცნობა მისცა მუშებს, რომლებიც სწრაფად მოგროვდენ გამოსახლებულ პირების ბინების წინ. მუშებმა ჩამოგლიჯეს ბეჭედი დაკეტილ ბინებს და კვლავ შეასახლეს შიგ მუშები. შემდეგ გამართეს მიტინგი.

სახლის პატრონები მოითხოვენ ბინადრების გამოსახლებას და იმედი აქვთ, რომ მთავრობა ჩაერევა ამ საქმეში.

## ᲛᲣᲨᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲗ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ.

გაზ. „დეილი ჰერალდს“ მოსდის მრავალი წერილები რკინის გზის მუშებისაგან სათადარიგო რკინის გზის ათასეულების შედგენის შესახებ. რკინის გზის პროფკავშირთა თავმჯდომარემ განაცხადა: „რკინის გზის ათასეულების შედგენა მხოლოდ უბედურებას მოუტანს მუშებს.“

## ᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲜ.

სიდნეიდან (ლონდონში) იუწყებიან, რომ ავსტრალიის ერთ ნავთსადგურში გემის მშენებელ მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვები.

მუშათა პარტიამ გაიმარჯვა მუნიციპალურ არჩევნებზე. ამჟამად სიდნეის ქალაქის მართველობა მუშების ხელშია.

## ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲔᲑᲘ.

ნორვეგიის გაზეთი „შავ პოსტენი“ ათავსებს ხმებს მომავალ გაფიცვების შესახებ ნორვეგიაში. გაფიცვებ იმოხდება იმ შემთხვევაში, თუ მუშებს უარი უთხრეს ნორვეგიის მუშათა პარტიის დეპუტატების გათავისუფლებაზე.

## ᲛᲘᲣᲖᲐᲛᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲣᲗᲕᲚᲘᲡ ᲕᲘᲐᲢᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲡ.

ერიხ მიუზამმა, რომელიც გათავისუფლებულ იქნა ვიატკის რემედასის შეფობის ქვეშ მყოფ ბავარიის ციხიდან გამოუგზავნა ვიატკის მშრომელებსა და წითელარმიელებს მადლობის წერილი იმ მორალურ და ნივთიერი დახმარებისათვის, რომელიც მას გაუწიეს პატიმრობის დროს.

## ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ.

ბელგიის კომპარტიის ცეკას და „შრომის გმირთა“ (სამთომადნო მუშების რევოლიუციონური ორგანიზაცია) კრებამ დაადგინა, რათა შრომის გმირთა პროფკავშირი შეუერთდეს ბელგიის პროფკავშირთა ორგანიზაციებს რევოლიუციონური მეთოდების დაცვის მიზნით.

შრომის გმირებს წინადადება მიეცემა შევიდენ ბელგიის კომპარტიის რიგებში ცალკეულად.



კ ე ლ ლ ო გ ი
ამერიკის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი.

## მღელვარება ავსტრალიის მეზღვაურთა შორის.

მელბურნიდან იტყობინებიან მეზღვაურთა კავშირის თავმჯდომარე—უოლშის დაპატიმრების შესახებ.

უოლშს ბრალი ედება აგიტაციის წარმოებაში მეზღვაურთა შორის.

## ახშობენ მუშათა მოძრაობას.

ჩრდილოეთ იტალიაში მთავრობა განაგრძობს კლუბებისა და მუშათა სპორტიულ საზოგადოებათა დახურვას. გენუაში დახურეს მაქსიმალისტების პარტიის სექცია.

## პროვოკატორ ოკლადსკის გასამართლება.

(13 იანვრის საღამოს სხდომა).

საზოგადოებრივი ბრალმდებელი კრილენკო ვრცლად ეხება პროვოკატორ ოკლადსკის ბნელ საქმეებს. აღნიშნავს თუ სად როგორ მოქმედებდა და ბოლოს ამბობს: „ჩვენ არ გვეშინია ოკლადსკების, მაგრამ რამდენადაც ჩვენ არ გვაქვს საბუთი, რომ ის არ იქნება მავნე,—შეკითხვაზე თუ როგორ მოვექცეთ მას—მე ვუპასუხებ: „დახვრეტილ იქნას.“

ბოლოს სიტყვით გამოდიან დამცველები, აცხადებენ: „არც რევოლიუციონურ სასამართლოს, არც ზნეობრივ შურის ძიებას, არც საბჭოთა კავშირის გამოსწორებულ პოლიტიკას არ სჭირდება ოკლადსკის სიკვდილით დასჯა. ოკლადსკი ფიზიკურად ნახევრად მკვდარია, მორალურად (ზნეობრივად) კი ცოცხალი გვამი.

## ᲝᲙᲚᲐᲓᲡᲙᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ.

უკანასკნელი სიტყვა ეძლევა ოკლადსკის, რომელიც ამბობს: „მოქალაქე მსაჯულნო! ჩემი დამცველების შემდეგ მე არაფერი მაქვს სათქმელი. დამნაშავე ვარ, მაგრამ იმდენად კი არა, როგორც ჩემი ბრალმდებლები მთვლიან. ჩემი ბოროტი საქმეები დასრულდა 1890 წელში. რომ მე დავსჯილიყავ 1880 წელს, მაშინ მოვკვდებოდი როგორც პატიოსანი რევოლიუციონერი. ნუ მისცემთ დიდ მნიშვნელობას ჩემს ბოროტ საქმიანობას.

## ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ.

უზენაეს სასამართლომ მიუსაჯა ოკლადსკის დახვრეტა და ქონების ჩამორთმევა, მაგრამ მიიღო მხედველობაში, რომ ბოროტმოქმედების შემდეგ კარგი ხანი გავიდა და მასთან ბრალდებლუი ღრმად მოხუცებულია, სასამართლომ შეუცვალა დახვრეტა 10 წლის ციხედ.

განაჩენი საბოლაო და მისი გასაჩივრება არ შეიძლება.

## ჩინეთში.

მანილიდან (ფილიპინის კუნძულები) მიღებულ ცნობით შანხაის მიმართულებით გაემართა ამერიკის 4 სამხედრო გემი.

## მასწავლებელთა საკავშირო სხდომა.

(14 იანვრის სხდომა).

## საფრანგეთის განათლების მუშაკთა სალამი.

მისალმების სიტყვა წარმოსთქვა განათლების მუშაკთა სახელით გეინზენბერგმა. მან განაცხადა: „დღეს ნათელი გახდა ის, რაც დასავლეთ ევროპაში შეუძლებლად მიგვაჩნია. ამ ყრილობამ აღნიშნა ის გზები და ზომები, რომლებიც აქცევენ სკოლას მუშათა და გლეხთა გამათავისუფლებელ იარაღად და მოამზადა მასწავლებლები, რომლებიც გაატარებენ საბჭოთა ხელისუფლების კულტურას შორეულ კუთხეებში.“

## მასწავლებლობა და პროფმოძრაობა.

განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას თავმჯდომარემ კოროსტელოვმა თავის სიტყვაში აღნიშნა:

„მიუხედავად განათლების მუშაკთა მძიმე მატერიალურ მდგომარეობისა, მათი პირობების გაუმჯობესება შეუძლებელი ხდებოდა, ვინაიდან მუშათა კლასის ინტერესები მთლიანად უფრო მაღლა იდგა: საჭირო იყო ტრანსპორტის გადიდება, ინდუსტრიის გაძლიერება და ბევრიც სხვა“.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს თუ რამდენად გაუმჯობესდა ძველთან შედარებით ამ ბოლო დროს განათლების მუშაკთა მდგომარეობა. დასასრულ კოროსტელოვი ამბობს, რომ საჭიროა ჩაბმულ იქნას მასწავლებლობის მთელი მასები აქტიურ პროფესიონალურ მოძრაობაში.

## „სმიჩკის“ (დაახლოების) საღამოები.

ყრილობის მუშაობის გათავების შემდეგ, საღამოს დელეგატები დანაწილდენ და გაემართენ განათლების სახლებში და კლუბებში. საღამოებზე გამოდიოდენ სიტყვებით დელეგატები, ფაბრიკა-ქარხნების და რაიკომების წარმომადგენლები, რომლებიც აღნიშნავდენ შეთანხმებულ მუშაობის საჭიროებას სოფლისა და ქალაქის კულტურულ ფრონტზე.

## „ᲠᲝᲖᲐ ᲚᲘᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲚ ᲚᲘᲑᲙᲜᲔᲮᲢᲘ.“

### ᲠᲐᲓᲔᲙᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ.

კარლ რადეკი „პრავდას“ მოწინავეში სწერს: „ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, როცა ბერლინის მუშებმა გაიგეს საღამოს გაზეთებიდან როზა ლიუქსემბურგისა და კარლ ლიბკნეხტის მოკვლის შესახებ. 5 წელი, როგორც დიდი ბრძოლების და გამარჯვების, ისე დამარცხების. მაგრამ ეს დღე სდგას ჩვენს ხსოვნაში ცოცხალად და როგორც ცოცხლები, ისე დგანან ჩვენს წინაშე გერმანიის საუკეთესო მუშათა გაქვავებული სახეები, რომლებმაც იგრძნეს იმ დროს, რომ გერმანიის პროლეტარიატს მოჰკვეთენ თავს ბელადების მოკვლით.

გერმანიის პროლეტარიატი ბელადების ტრაღიკულად დაღუპვამ ვერ შეაჩერა გერმანიის რევოლიუციონური მოძრაობის განვითარება. მან საკუთარი ძალებით შეითვისა ყველაფერი, რის სწავლებაც აღარ შეეძლო მათთვის უკვე დაღუპულ ბელადებს.

როზა ლიუქსემბურგი და ლიბკნეხტი ასწავლიდენ პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესთა, წინააღმდეგობის და სოციალურ რევოლიუციის აუცილებლობის შესახებ.“

## ადერბეიჯანი.

### ნავთის ახალი შადრევანი.

რომანინის რაიონში მესამე სარეწაოზე 11 იანვარს ამოხეთქა ნავთის ძლერმა შადრევანმა.

## ᲐᲓᲔᲠᲑᲔᲘᲯᲐᲜᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ.

ადერბეიჯანის სახკომსაბჭომ მიიღო მიწვევის ბარათი საერთაშორისო სამხატვრო-სამრეწველო გამოფენაზე პარიზში. ადერბეიჯანმა უნდა წარადგინოს ნოხები, ძვლები და ძვირფასი ქვები.

## ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲐᲛᲝᲥᲐᲩᲕᲐ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲗᲕᲔᲨᲘ

დეკემბერში ამოქაჩულ იქნა 20.500.000 ფუთი ნავთი. ქარ-ბუქის გამო ვერ იქნა შესაძლებელი დაკვეთა-2.200.000 ფუთის რაოდენობით.

მუშაობდა 2.215 კვირაში. გათხრილ იქნა 3.000 საჟენი და გატანილ იქნა ზღვით 2 მილიონ ფუთამდე, რკინის გზით—3 მილ. ფუთი, ნავთის მილებით—2 ნახ. მილიონ ფუთი.




## როგორ შევხვდით ახალ წელს.
### მეორე ლეგიონის მეცხრე ასეული.

ჩვენი ასეულის არმიელები განსაკუთრებული სიხარულით შეეგებენ 1925 წელს.

ბევრი ჩვენთაგანი პირველად შეეგება ახალ წელს ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა მხრიდან მოსულ ამხანაგებთან ერთად.

ულოცავდით ერთმანეთს ახალ წელს და ვინ იცის რას არ ვიგონებდით იმის შესახებ, თუ როგორ გვიხდებოდა ჩვენ და ჩვენ ოჯახებს ძველად ახალი წლის შეხვედრა.

აგერ ერთი ამხანაგი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ მამამის როგორ წაართვა გზირმა სადასახადებში მოხარშული ღორის ხორცი და ხაჭაპურები ახალწელიწად დილას.

ბევრი ასეთი მოგონებები იყნა გადმოშლილი წარსული მძიმე დროიდან და აღარებდენ ამხანაგები ეხლანდელ ხელისუფლებას.

ასეთ საუბარში ვიყავით, რომ შამოვიდა ამხანაგი პოლიტხელი და მხიარული სახით მოგვილოცა ახალი წელი შემდეგი სიტყვებით:

„გაის ამ დროს უფრო სიხარულით შევხვდებით ახალ წელს, რადგანაც შესაძლებელია ჩვენთან ერთად იდღესასწაულონ იმ დაჩაგრულმა ხალხმა, რომლებიც ამ ჟამად სულს ღაფავენ კაპიტალის ბატონობის ქვეშ.

— ნუ თუ მაგას უფრო ადრე ვერ მოვესწრებით ამხ. პოლიტხელო?—გაისმა წითელ არმიელების ხმა—ერთი წელიწადი დიდი დროა, მანამდე უნდა მოუღოთ ბოლო ბურჟუებსო,—გაიძახოდენ ამხანაგები. მოგვესალმენ ასეულის სხვა მეთაურებიც.

შემდეგ გამოაკრეს ჩვენი კედლის გაზ. „ასეულის სარკის“ საახალწლო ნომერი, რომელმაც ბევრი აცინა ჩვენი არმიელები.

შემდეგ გაიმართა ცეკვა თამაში და კუთხური სიმღერები.

ზ. წუნორელი.

## სამხედრო საქმეს კარგად ითვისებენ

პირველ ლეგიონის მეხუთე ასეულში ახალწვეულების მოსვლისთანავე კარგად იქნა საქმე დაყენებული. ასეულში თითქმის ყველა წერა-კითხვის მცოდნეა. მცოდნეებმა მოიყარეს თავი. აქ ნახავთ ამხანაგებს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეებიდან. გურულს, მეგრელს, კახელს, ქართლელს, იმერელს და სხვა. ამან კი სხვა და სხვა მეცადინეობას და განსაკუთრებით სამხედრო საქმის შესწავლას ბევრი რამ შემატა. არმიელებში ერთგვარი შეჯიბრებით ხასიათი აქვს მეცადინეობას.

საგარნიზონო ყარაულისა და შინაური საყარაულო წესდებანი კარგად შეისწავლეს.

ტაქტიკური მეცადინეობის დროს დიდი გულმოდგინეობა და საკუთარი ინიციატივაც კი გამოიჩინეს ამხანაგებმა. თოფის ხმარება და მისი გამოყენება მიზანში სროლისთვის მშვენივრად შეითვისეს.

სამწყობრო მეცადინეობას დიდი ყურადღება ექცეოდა იმ თავითვე და ეხლაც სისტემატიურად მიმდინარეობს.

ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ახლად მოსულ არმიელს უჯობნია ძველისთვის, რაც მეტ-სიხალისეს და ინტერესს იწვევდა ამხანაგებში. საერთოდ ჩვენი ახალგაზრდა არმიელები დიდი ენერგიით ეკიდებიან საქმეს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათი სახით ჩვენ გვეყოლება ახლო მომავალში გაწვრთნილი მხედრები.

ს. იმნაიშვილი.

## პური გაგვიუმჯობესეს.

15 დღის განმავლობაში ძლიერ ცუდათ გამომცხვარი პური ეძლეოდა არმიელებს პირველ ლეგიონში, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ამხანაგებში. ბევრი იმასაც ლაპარაკობდა რომ პურის უვარგისობა გამოწვეულია ძლიერი ყინვებითო და სხვა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა-პური ცუდი იყო; ყინვები რა შუაში იყო პურის უსუფთაობაში. ამ ჟამად პური გაგვიუმჯობესეს. საჭირო ზომებმა გასჭრა.

7 იანვრიდან უკვე კარგად გამომცხვარი და სუფთად დამზადებული პური გვეძლევა. წითელ არმიელები კმაყოფილი არიან.

სამხკორი აჩხეტელი.

## მოვიდენ უმცროსი მეთაურები.

12 ინვარს, 3-ე ლეგიონს მოვია უმცროსი მეთაურები.

ეს, ის წითელ არმიელები არიან, რომლებიც ლეგიონმა გაგზავნა დივ-სკოლაში სამხედრო ცოდნის შესაძენათ. ეს დავალება მათ პირნათლად შეასრულეს. ამხანაგებმა სასახელოდ დაამთავრეს აღნიშნული სკოლა და კვლავ დაუბრუნდენ თავიანთ ლეგიონებს.

ჩვენი ლეგიონისათვის მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გაწვრთნილ ამხანაგების დაბრუნებას. მათი მოსვლით ბევრი რამ გაკეთდება ჩვენთან. ამხანაგი მეთაურები დაუბრუნდენ ლეგიონს სუფთად ჩაცმული და სათანადო ცოდნითაც არიან აღჭურვილნი.

ჩვენ იმედი გვაქვს ეს ამხანაგები ენერგიულად შეუდგებიან წითელ არმიელების აღზრდას და გადასცემენ მათ იმ ცოდნას, რომელიც შეიძინეს სკოლაში მეცადინეობით.

გაუმარჯოს ჩვენს უმცროს მეთაურებს!

გაუმარჯოს მათ მომავალ საქმიან მუშაობას ჩვენს ლეგიონში.

ა. ჭკადუა.

## ჩვენი კლუბი და ბიბლიოთეკა.

1924 წლის განმავლობაში მესამე ლეგიონის კლუბმა და ბიბლიოთეკამ ბევრი გაჭირვება და სიღარიბე ნახა, მაგრამ ჯარისთვის საჭირო სამსახურის გაწევა მაინც შესძლეს და აქამდე პირნათლად ასრულებდენ თავის მოვალეობას.

25 წლის დასაწყისი კი უფრო იმედიანია ჩვენი ბიბლიოთეკისა და კლუბისათვის, რადგანაც პირველმა დივიზიამ აღმოუჩინა მათ საჭირო დახმარება. ამის შემდეგ უფრო მედგრად ვიქნებით ჯარის კულტურულად განვითარების ფრონტზე. ბიბლიოთეკამ დივიზიიდან მიიღო 1000 ცალი აკინძული სხვა და სხვა შინაარსის წიგნები. ეს დიდი სიმდიდრეა ჩვენი ბიბლიოთეკისთვის. კლუბმა მიიღო სათეატრო და საკლუბო ნივთები. ამას გარდა მივიღეთ ფულით დახმარება, რუქები, პლაკატები. ასეთი ყურადღება ძლიერ გამოაცოცხლებს ამ დაწესებულებებს და სულ მალე მესამე ლეგიონსაც ისეთი კლუბი და სამკითხველო ექნება, როგორც შეეფერება ნამდვილ წითელ ჯარს.

ადგილობრივ ხელისუფლებაც დიდ დახმარებას გვიწევს. ამას წინად ლეგიონს შამოსწირა მან 156 ც. პირველ დაწყებითი სასწავლო წიგნები, ფანქრები, რვეულები და სხვა. იმედია არც შემდეგში მოგვაკლებს თავის მზრუნველობას.

ს. გეგია.

## მეოთხე ლეგ. ცხოვრებიდან.

მეოთხე ტერ ლეგიონი (ყოფილი მესამე) დაარსების პირველ ხანებში მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეკონომიურად ლეგიონი დიდ გაჭირვებას განიცდიდა, მაგრამ ენერგიული ხელმძღვანელების მეოხებით ის ჩქარა გამოვიდა ასეთი მდგომარეობიდან. ამ უკანასკნელ ხანებში ლეგიონი თითქმის უზრუნველყოფილია ყოველ მხრივად.

წითელ არმიელებს ლეგიონში დიდი ყურადღება გვექცევა. არ გვქონდა კლუბი, მაგრამ როგორც იქნა შევსძელით მისი მოწყობა და სათანადო მუშაობაც გაჩაღდა შიგ.

საცხოვრებელი ყაზარმები ძლიერ ცუდი იყო. მიღებული იქნა სასწრაფო ზომები, შენობას ჩაუსვეს მინები, შეაკეთეს და მშვენიერი ყაზარმები შეგვექნა.

კლუბში საუცხოვოდ მოეწყო ლენინის კუთხე, რომელიც მორთულია მრავალი პლაკატებით, ლოზუნგებით და სხვა. ამას გარდა ლეგიონის ყველა ასეულებშიდაც იქნა მოწყობილი კუთხეები და სანიმუშო კლასები. სამზარეულო და სხვა სრულიად აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. ლეგიონში მეთაურთა სასადილოც არის გახსნილი. წითელ არმიელთათვის საგრძნობლად გაუმჯობესდა სადილი და კმაყოფას საერთოდ დიდი ყურადღება ექცევა.

დაარსებული გვაქვს კლუბთან სხვა და სხვა წრეები და სისტემატიურად სწარმოებს პოლიტიკური და სხვა ხასიათის მეცადინეობა.

წ. არმ. როხტომაშვილი.

# პარტიული ცხოვრება

## 3-მე ასეულის კომუჯრედის ღია კრება.

9 იანვარს ქართ. მეთ. სკოლის 3-მე ასეულში შესდგა კომუჯრედის ღია კრება.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები. 1) ინდუვიდუალური მიმაგრება. 2) კურსანტების შვებულებაში ყოფნის დროს მათი მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ. და 3-მე მიმდინარე საკითხები

1) ინდუვიდუალური მიმაგრების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჭკუასელმა. მან განმარტა მისი მნიშვნელობა და რას ნიშნავს, რა შინაარსია ამ სიტყვებში. ინდივიდუალური მიმაგრება იმას ნიშნავს რომ დავიკავოთ კავშირი ერთი მეორესთან, რომ თითეული ჩვენთაგანი გაეცნოს ერთმანეთის უარყოფითი და დადებითი მხარეებს და ცუდი ზნე ჩვეულება ამახანაგებში ამნაირად შევსცვალოთ დადებითად. ეს კი განამტკიცებს ერთმანეთისადმი პატივის ცემას და სოლიდარობის გრძნობებს.

ამხანაგმა მიუთითა აგრეთვე კურსანტებს იმის შესახებ უფრო დაუახლოვდენ ერთმანეთს და შეიქნეს განუკვეთელი კავშირი. თითეული ამხანაგი, რომელიც ცოტათ თუ ბევრად მომზადებელი დღევანდელ დღისათვის, ვალდებულია გაუზიაროს თავისი ცოდნა მათზე დაბლა მდგომ ამხანაგებს. მაგრამ რაც უმთავრესია ეს ისე არ უნდა მოხდეს რომ ის ზევიდან დაცქეროდეს მოუმზადებელ ამხანაგს, არამედ ისე, როგორც მისი უმთავრესი დაახლოვებული ამხანაგი. თითეული პარტიული ამხ. მოვალეა სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს უპარტიო ამხანაგებს. იყოს მათვის მაგალითის მაჩვენებელი, როგორც უფროსი გამოცდილი და გამობრძმედილი, ამ სიტყვებით დაამთავრა მოხსენება ამხ. კომისარმა.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთეს ამხ. კურსანტებმა სოფლად გლეხების ცხოვრების შესახებ.

ამხანაგებმა ყველა კუთხების შესახებ გააკეთეს მოხსენება თავ-თავიანთ თემებზე და სოფლებზე და გარკვეულად გადმოგვცეს მათი დღევანდელი პირვარამი, გამოირკვა რომ ის დეკრეტები, რომელიც გამოცემულია საბჭოთა მთავრობის მიერ არ ტარდება სოფლად და ადგილობრივი ორგანიზაციები რამოდენიმე თემებში სულ სხვა მიმდინარეობით აწარმოებენ მუშაობას, რაც გლეხებს ძრიელ უტეხს გულს.

კურსანტების მოხსენებების შემდეგ გამოვიდა ამხ. რამიშვილი და განაცხადა რომ ყველა ის ცნობები, რაც კურსანტებმა მოგვაწოდეს გვიადვილებს სოფელთან დაკავშირებას და აქტიური მდგომარეობის გათვალისწინებას და ამით შეიძლება მომავლისთვის უფრო გეგმიანი მუშაობის წარმოებათ.

სამხკორი ლ. ჭელიძე.

## ამბები სოფლებიდან.

### ძველი სახელწოდების შეცვლა.

ბორჯომის აღმასკომმა გადასწყვიტა სოფ. სავანის ხევს შეუცვალოს სახელი და უწოდოს სოფელი წითელი ხევი.

### გლეხკომების კონფერენცია,

14 იანვარს გორში გაიხსნა გორის მაზრის გლეხკომების კონფერენცია, რომელზედაც არჩეულ იქნებიან დელეგატები სრ. საქართ. გლეხკომების ყრილობისათვის.

### ფუტკარის გადაცემა.

გურიის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმს გადაეცა 16 ძირი სკა, სკოლის საფუტკრეს მოსაწყობათ.

### შენობის გადაცემა.

სოფელ ატენში(გორის მაზრა) ადგილობრივ კოოპერატივს გადაეცა ხის შენობა სამაზრო აღმასკომის დადგენილებით.

### ოზურგეთის ჰიდრო ელსადგური.

ოზურგეთის აღმასკომმა მიანდო ინჟენერთა კომისიას გამოარკვიონ და შეიმუშაონ ჰიდროელსადგურისათვის არხის გაყვანის მიმართულება.

### მოძრავი კინო სოფელში.

შორაპნის აღმასკომს განზრახული აქვს შეიძინოს კიდევ ერთი მოძრავი კინო-აპარატი,

### ტეხნიკუმის საზეიმო გახსნა.

18 იანვარს სოფელ ბაკურციხეში (კახეთი) მოხდება კახეთის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის საზეიმო გახსნა.

### მეფუტკრეობა გურიაში.

წარმოკავშირის მეფუტკრეობის ინსტრუქტორის აპოლონ წულაძის ხელმძღვანელობით ლანჩხუთში დაარსდა მეფუტკრეობის კოოპერატივი „კრიპუჰი“.

## მეოთხე ასეულის კომუჯრედის კრება.

10 იანვარს 1-ლ ლეგიონის მე-4-ხე ასეულში შესდგა კომუჯრედის ღია კრება. დაესწრო კომპარტიის წევრები, კანდიდატები, კომკავშირელები და სხვა უპარტიო წ. არმიელები. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები. 1) წარსული კრების ოქმის დამტკიცება, 2) მენშევიკების ტაქტიკა და კომპარტიის ამოცანები. ამ უკანასკნელზე მოხსენება გააკეთა ლეგიონის სამხკომმა ამხ. ბაახიამ. მან გასაგებათ გააშუქა მენშევიკების მოღვაწეობა და მათი მოქმედება საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოთ.

მომხსენებელი შეეხო მენშევიკების საზღვარ გარეთელ ბიუროს მოქმედებას და მის როლს ავგისტოს ავანტიურის მოწყობაში. ამხანაგმა აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები და ყველა ამოცანები, რომლებიც უნდა გადასჭრას მან მომავალში,

მოხსენების დასრულების შემდეგ ამხანაგებმა შეიტანეს შეკითხვები, რომელზედაც მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი. ბოლოს კრებამ გამოიტანა შესაფერისი რეზოლიუცია.

მ. ვაშაკიძე.

## გვაღირსეთ აბანო.

(ქართ. გაერთ. მეთ. სკოლა)

ქართ. მეთ. სკოლაში წელს ბანაობის საქმე ძლიერ ცუდათ არის მოწესრიგებული. გასულ წელში გარნიზონის აბანოში დავდიოდით, მაგრამ მიუხედავად სიშორისა ყოველ კვირაში ვბანაობდით. წელს კი სკოლამ თავის საკუთარი აბანო მოაწყო, მაგრამ საუბედუროთ არ ათბობენ თავის დროზე. ორ კვირაში ერთხელ მაინც უნდა იყოს აბანო, ისე კი ხშირად სამი კვირა და მეტიც გაივლის, რომ აბანო არ გვეღირსება და თუ იქნება მაშინაც, ზოგიერთები დაუბანელი ვრჩებით, რადგან ცხელი წყალი მალე ილევა და შემდეგ 20 და 40 კაცისთვის აღარ ათბობენ. საცვლებს თავის დროზე გვიცვლიან, მაგრამ დაუბანელ ტანზე მისი ჩაცმა უხერხულია და უსუფთაობას ვერ სპობს.

საჭიროა ყურადღება, რომ თავის დროზე გვქონდეს აბანო.

სამხკორი ლავრო.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ.

## მეტი ყურადღება საბარგულებს.

### დაუშვებული მაგალითები.

ამ მოკლე ხანში მე ვნახე საპიორის ქუჩაზე თუ როგორ მიარბენინებდა დაოთხებით ცხენებს, შოლტის ქნევით, ერთი წითელ-არმიელი, რომელიც მიდიოდა პურის საცხობში, თითქოს ამით მას უნდოდა დაემტკიცებია თავისი სიმარჯვე და სიმამაცე მედუქნეებისთვის, რომლებიც იყვნენ ქუჩაში და უყურებდნენ მას. საზიდავი მირახრახებდა ქვებზე და გაისმოდა საზარელი ხმაურობა. გამიკვირდა, როგორ არ გადაიმტვრა ეს ურემი შუაზე და არ დაამახინჯა ცხენები და „მამაცი“ და „გამარჯვებული“ მხედარი. მესმოდა ამავე დროს ბაასი მედუქნეებისა, რომელთაც ამხიარულებდა წითელ-არმიელი თავისი „მარდი მხედრობით:“ „აი, ამნაირი მხიარული წითელ-არმიელები მომწონს, ყველანი რომ ასე დაიარებოდნენ, მგონი, წითელ ლაშქარში არც ერთი ვარგისი საზიდავი არ იქნებოდაო“, ამბობს ერთი მედუქნეთაგანი. იქვე შემთხვევით მოდიოდა ერთი მუშა, რომელმაც მომიბრუნდა და მომმართა მე: „დაინახეთ, როგორ უხარიათ მედუქნეებს, რომ წითელ-არმიელი არ უფრთხილდება სახალხო ქონებას. ჩემის აზრით, ეს მხედარი დიდი სულელი უნდა იყოს და ამიტომ მაგას უნდა შეასწავლონ გაფრთხილება და თავოსნობა“-ო.

მოწმე ვიყავი კიდევ მეორე შემთხვევის. არმიის ძირითად სასურსათო საწყობში, წითელ-არმიელი ღებულობდა ფქვილს, ერთხელად მიიღო და დაუდო ურემს 10 ტომარა, წონით 50 ფუთი. ორ ცხენს ძლივს-ძლივობით მიაქვს ურემი, წითელ-არმიელი კი შემოჯდომია მაღლა ტომრებზე და რაც ძალი და ღონე აქვს ურტყამდა ცხენებს შოლტს. მიუახლოვდა მას წისქვილის ერთი მუშა და უთხრა: „ამხანაგო! მგონია ამ ურემზე 30-35 ფ. მეტის დადება არ შეიძლება, შენ კი დაგიდვია 50 ფ. და თვითონაც ზედ წამოსკუპდომიხარ,— ამით ცხენებს დაამახინჯებ და ურემსაც დალეწავს“, „რა შენი საქმეა“ მიუგო წითელ-არმიელმა. ამ დროს მივიდა მასთან ერთი სამხედრო პირთაგანი და შეეკითხა, რომელი ჯარის ნაწილიდან იყო ის გამოგზავნილი ფქვილისთვის, წითელ-არმიელმა, როდესაც დაინახა შემკითხველის ტანისამოსის სახელოზე უფროსის ნიშნები, ჩამოხტა ურმიდან, დაუძახა მეორე ამხანაგს თავისას და გადატვირთა ზოგი ერთი ტომრები მეორე ურემზე.

ამ ნაირი შემთხვევები ურმების ზედმეტად დატვირთვისა და უთავბოლო რბენისა შეიძლება დავასახელო ძალიან ბევრი, რაიც ამტკიცებს იმას, რომ ყოველი წითელ-არმიელი არ არის თავოსანი და არ ფიქრობს სახალხო ქონების გაფრთხილებაზე და მოვლაზე. რასაკვირველია ეს გარემოება მედუქნეებისთვის გასახარია, მუშისთვის და პატიოსან გლეხისთვის კი—საწყენი. მუშას სწყინს იმიტომ, რომ წითელ-არმიელი არ აფასებს მის შრომას, გაწეულს სამხედრო ქონების გაკეთებაზე და გლეხს,— რადგანაც მას ესმის, რომ სამხედრო ქონება, გაუფრთხილებრივი მოპყრობით ფუჭდება, რაიც იწვევს მეტი ხარჯების გაღებას, ქონების შესაძენად და შესაკეთებლად. მუშას და გლეხს ესმის, რომ სახალხო ქონების გაფრთხილებრივი მოპყრობა, ხელს უწყობს საბჭოთა სახელმწიფოების კავშირის საერთო კეთილდღეობას, ამაგრებს და ამტკიცებს რევოლიუციის მონაპოვართ და აძლიერებს მუშათა და გლეხთა საბჭოთა ხელისუფლებას. ამაზე ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს თვითეულმა წითელ-არმიელმა.

ს. შაკუნი.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— „ევკოგრუზის“ ახალი ქარხანა. ქართული ჯარის მთლიანმა სამხ. კოოპერატივმა გადასწყვიტა ბორჩალოში საკუთარ მამულში მოაწყოს შვეიცარული ყველის წარმოების ქარხანა.

— ალმასკომი ეხმარება ჯარს. გორის ალმასკომმა თავის ხარჯით გაუყვანა მეოთხე ლეგიონს ელექტრონის შუქი.

— „ევკოგრუზის“ ყრილობა. თებერვლის პირველ რიცხვებში განზრახულია მოწვეულ იქნეს „ევკოგრუზის“ წლიური ყრილობა.

# ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲐ.

## დედამიწის ელექტროფიკაცია.

ელექტროფიკაცია ტარდება არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკებში, არამედ მას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მთელ დედამიწის ზურგზე.

ამ დღეებში მოსკოვის პოლიტეხნიკურ მუზეუმში წაკითხული იქნა ლექციების მთელი რიგი იმის შესახებ, თუ როგორ ტარდება ელექტროფიკაცია ჩვენში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

ამხ. კრიჟანოვსკიმ აღნიშნა საბჭოთა კავშირის მიღწევები უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით. გამოირკვა რომ ელექტროფიკაციის გასატარებლად საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ყოველ წლიურად სდებს 50—100 მილიონ მანეთს. სულ 15 წლის განმავლობაში ამ საქმეს მოხმარდება 1 მილიარდი და 200 მილიონი მანეთი. სამაგიეროდ ჩვენ მივიღებთ 30 მსხვილ სარაიონო ელექტრონის სადგურებს.

ერთის შეხედვით ეს ხარჯები საგრძნობლად დიდია, მაგრამ თუ მას შევადარებთ ინგლისისაგან გაწეულ ხარჯებს ელექტროფიკაციისათვის, (განზრახულია ყოველ წლიურად 200 მილიონის დახარჯვა) ან ამერიკისას (ამერიკაში დამუშავებული ელექტრონული ენერგია უდრის, მთელ მსოფლიოში დამუშავებელ ენერგიის ნახევარს, მაგრამ ის მაინც ფიქრობს ახალ ელექტრო სადგურების აგებას) ჩვენი რესპუბლიკების საელექტროფიკაციო გეგმისთვის ხარჯები უმნიშვნელოდ მოგეჩვენებათ.

რომ უფრო ნაყოფიერი იქნეს ჩვენი კაპიტალისტური ქვეყნების წინაამდეგ ბრძოლა, საჭიროა არაფერში არ ჩამოვრჩეთ მათ. ჩვენი ფედერაციის ელექტროფიკაცია არა ნაკლები ენერგიით უნდა გატარდეს ვიდრე ეს ხდება კაპიტალისტურ დასავლეთში.

გეგმა შეწონილად ელექტროფიკაციის გატარებას პირველად საბჭოთა კავშირი შეუდგა.

როდესაც საბჭოთა ქვეყნებმა წამოისროლეს ლოზუნგი სახალხო მეურნეობას ელექტროფიკაციის შესახებ, კაპიტალისტური ქვეყნებს ეს სასაცილოდ არ ყოფნიდათ.

ამ ჟამად კი ისე შეუდგენ ამ საქმის ცხოვრებაში გატარებას ეს ვაჟბატონები, როგორც ეს ხდება საბჭოთა კავშირში.

ამერიკაზე ჩვენ უკვე ვსთქვით. ძლიერ ფაცა-ფუცშია გერმანიაც. ინგლისი ცოტა ჩამორჩა, მაგრამ სცდილობს შეავსოს დანაკლისი.

საიმბოლ მასალის ეკონომიაში დიდ შედეგებს მივაღწიეთ. ერთმა ამხანაგმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ამ მხრივ თითქმის აღარ ჩამოუვარდებათ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

1926 წელში დასრულდება განზრახულ ელექტრონის სადგურების პირველი რიგის აგება, რომლებიც მოგვცემენ 160,000 კილოუატ ენერგიას.

ამ რაოდენობის ნახევარი ენერგია კი გვექნება მიმდინარე 25 წელში.

ბოლშევიკური ენერგია მოგვცემს ჩვენ ელექტრონულ ენერგიას.

ამ მხრივ დიდი მუშაობაა საჭირო, რომ არა თუ დავეწიოთ დასავლეთის ქვეყნებს, არამედ კიდევაც გავასწროთ მათ.

### ვაჟი თუ ქალი?

სქესის ამოცნობა.

ერთ-ერთ გერმანულ სამედიცინო ჟურნალში მოთავსებულია ცნობილ რუს მეცნიერის ცნობა მისი ცდების შესახებ სქესის ამოცნობაში.

მისი აზრით ადვილად შეიძლება გამოცნობილი იქნეს მშობიარობამდე ერთი კვირით ადრე ქალი შეეძინება დედას თუ ვაჟი.

ამის ნიშნები იმყოფება სისხლის ეგრე წოდებულ წითელ ბურთულებში.

ამ მკვლევარს დაუყენებია 80 ცდა და აქედან 77 შემთხვევა მართალი ნაწინასწარმეტყველები შეიქნა. ლენინგრადის მშობიარობის დამხმარე და გინეკოლოგიური ინსტიტუტიც იტყობინება, რომ ეს შედეგები შეამოწმეს იქ და აღმოჩნდა, რომ 88 პროცენტის დიაგნოზი სწორად იყო დასმული.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

# ᲪᲐᲚᲙᲔ ᲛᲔᲡᲐᲜᲒᲠᲔ ᲐᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲯᲠᲔᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ასეულის კომუჯრედში შემოსულია განცხადებები ა. ლ. კ. კავშირის კანდიდატებათ ჩარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებიდან.

1) მაიერი პავლე გუსტავის—ძე
2) ნაზაროვი ივანე ალალოს—ძე
3) იაკოვლევი დიმიტრი პეტრეს—ძე

თუ ვინმემ იცის მათ კავშირში მიღების შესახებ საწინააღმდეგო რამე გვაცნობონ უჯრედში წერილობით ან სიტყვიერად.

უჯრედის მდივანი ს. ჯავახოვი.

# ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ.

ლენინის კვირეულის ჩატარების გამო სემინარების მეცადინეობა გადადებულია 25 იანვრამდე.

ხელმძღვანელი ტ. წვენიევი.

**შაბათს, 17 იანვარს, დილის 9 საათზე, წითელ არმიის და ფლოტის სახლში შედგება ქართულ დივიზიის ნაწილებთან ერთად გარნიზონის სამეურნეო კომისიების**

# ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

**დღის წესრიგი:**

**1) მოხსენებები ადგილებიდან 2) სამეურნეო კომისიის ამოცანები ნაწილის საერთო აღმშენებლობასთან დაკავშირებით.**

**ყველა კომისიების წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა ნაწილის სამხკომის პასუხისმგებლობის ქვეშ.**

ქ. მს. დ. პოლიტ-განყოფილების უფ. კვირიკაძე
პოლიტსეკ.-რის უფროსი დვორიანოვი

# ᲝᲛᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ.

## მობილიზაცია და შემჭიდროება.

ადამიანს ვერ ძალუძს მომავლის განსჭვრეტა-ნათლად წარმოდგენა, ამიტომაც წინასწარმეტყველება მომავალ ამბების შესახებ, ძალიან გაბედული და სახიფათო იქნებოდა.

მაგრამ ძალიან შორს რომ არ ვიცქიროთ და დავკმაყოფილდეთ უახლოესი დროით, მაინც შეიძლება ამა თუ იმ დასკვნების გამოყვანა მომავალ ომის შესახებ.

ომი მჭიდროთ არის დაკავშირებული ტეხნიკის განვითარებასთან, რომელმაც ამ უკანასკნელ დროში მიაღწია განსაკუთრებულ შედეგებს და ამასთან ერთად ომის წარმოების საშუალებებიც ძალიან უნდა შეცვლილიყო.

წარმოვიდგინოთ, რომ მომავალ ომში ჯარები შეიარაღებული იმავე საშუალებებით როგორც ეხლა, მხოლოდ ტეხნიკურად უფრო განვითარებული; ომის გამოცხადებისთანავე, იქნებ ომის გამოცხადების წინაც, დაიწყება მტრის საჰაერო ესკადრის იერიშები და შორს მსროლელ არტილერიის ქვემეხთა მოქმედება, რაიც ეჭვი არ არის, გამოიწვევს რკინის გზებზე მოძრაობის შეწყვეტას; აქედან მობილიზაციით გაწვეულ ჯარების გადაზიდვა რკინის გზებით შორს მსროლელ არტილერიის ფარდში, სრულიად შეუძლებელი გახდება და საჭირო შეიქნება სათადარიგო ჯარების გადაზიდვა საბარგო ავტომობილით და სხვა ალალის (ტრანსპორტის) საშუალებით.

მაშასადამე საჭიროა ფართე მაშტაბით საავტომობილო ალალის მოწყობა.

მობილიზაციის მოწვეულ ჯარის შეკრების პუნქტები, რომლებიც წარმოადგენენ საუკეთესო მიზანს საჰაერო თავდასხმებისათვის და შორს მსროლელ არტილერიის სასროლად უნდა გადატანილ იქნეს მშვიდობიან დროის ადგილებიდან, რომელიც ყველამ იცის, სხვა ადგილას და ეს უკანასკნელი ადგილები სასტიკ საიდუმლოებით უნდა იყოს მოცული. საავტომობილო ალალის (ტრანსპორტის) საშუალებით აქაც საჭირო გახდება შემოტევის დაწყების თანავე იარაღის, სურსათ-სანოვაგის და საკვების გადატანა. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც საჭიროა ავტო-ტრანსპორტის ძლიერი განვითარება. მოწინააღმდეგების ცდა რომ ერთმანეთს ხელი შეუშალონ ჯარების წესიერ მოგროვების საქმეში, გამოიწვევს ორთავე მხრიდან ბრძოლას ჰაერში გაბატონებისათვის. ჰაერში ბატონების დამპყრობელს შეუძლიან მტრის შორს მსროლელ არტილერიის მოქმედების შეწყვეტა.

შორს მსროლელ არტილერიის და ყუმბარების მტყორცნავ ესკადრების მოქმედება იძულებულ ჰყოფს ჯარების მოგროვების შუაგულის გადატანას-მხარის შიგნით, რისთვისაც მივიღებთ ნაწილების დაბანაკების შემდეგ სურათს: ის ნაწილები, რომლებიც იდგნენ საზღვარზე ჯარების მობილიზაციის დროს დარჩებიან მშვიდობიან დროს შემადგენლობაში და მომქმედი ჯარის მთავარი ბირთვი-კი გადაყვანილ იქნება მხარის შიგნით. მოსაზღვრე ჯარების ზოლსა და არმიის ბირთვს შორის შესდგება უგარნიზონო ზოლი. ამ ზოლის სიგანე უნდა ეთანასწორებოდეს დაახლოებით შორს მსროლელ არტილერიის სროლის მანძილის სიშორეს.

ამ ზოლში დაბანაკებულ უნდა იყვნენ საავიაციო ნაწილები: ჰაერით საგუშაგო თავდაცვისა, ძიებისა და ადგილობრივი მოგერიებისა, საჰაერო მებრძოლ ჯარის ანგარები და აგრეთვე ასეთივე ტანკების ესკადრები და ცხენოსანი ნაწილები.

შემდეგ, ჯარის მობილიზაციის თანავე საჭიროა ჯარების შემჭიდროება რის გასაძლიერებლად კვლავ გაფართოებულ უნდა იქნას გადაზიდვის საქმე და იმ შემთხვევაში, თუ რკინის გზის რომელიმე ხაზის მოქმედების შეწყვეტა მოხდება, მაშინ ამას მოჰყვება საბარგო ავტომობილების დიდი ქსელის მოწყობის აუცილებლობა.

აქედან ის მტერთაგანი, რომელიც გაბატონებული იქნება ჰაერში, ჯარების შემჭიდროებას შეასრულებს უხიფათოდ. მათგანი ის, რომელიც ჰაერში დაჰკარგავს ბატონობას სასაზღვრო ზოლში ჯარის შემჭიდროებას ვერ შეასრულებს და იძულებული იქნება იგი უკან გადაიყვანოს.

**დასკვნა:** სულ დიდი ცვლილებები ომის წარმოებაში უნდა ჩაითვალოს საჰაერო იარაღის ძლიერი განვითარების შედეგად. ავიაციის საძიებო და გამანადგურებელი ძალა გამოიწვევს (ალალის) ტრანსპორტის ყველა სახის ფართე ორგანიზაციის საჭიროებას, რისთვისაც საბარგო ავტომობილები, ტრაქტორები და სხვა მისი სახეობანი სრულიად გამზადებული უნდა იყოს მშვიდობიან დროს.

არტილერიის და საჰაერო ესკადრების შორეული მოქმედება იძულებულად გაჰხდის მთელ სამხედრო მრეწველობის მხარის შუაგულში გადატანას.

ალალის სახით საჭიროა გამოყენებულ იქნეს კიდევ წევის საშუალებანი, თუ იმ დროისთვის ეს შესაძლებელი იქნება. შემდეგ მოსდევს სამხედრო მოქმედებათა შესრულების ომის წარმოების ახალ საშუალებათა შემოღება, უეჭველია გავლენას იქონიებს ამ მოქმედებაზე.

ი. ფალავა.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ტირაჟი 1100.